პროექტი შემუშავებულია
სსიპ ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის დირექტორის მაია ხახალეიშვილის მონაწილეობით, სამუშაო ჯგუფის მიერ

პროექტი განხილულია
პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 28 მაისის N 2 სხდომაზე

დამტკიცებულია
სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 30 მაისის N 3 სხდომაზე

სსიპ ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლის

განვითარების
შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

თბილისი,
ნაკადულის N6

შინაარსი

შესავალი

I. **სკოლის ფილოსოფია***

სკოლის მისია

სკოლის ხედვა

სკოლის ღირებულებები

II. **სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა - 2023-2030 წლები**

SWOT- ანალიზი

სკოლის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

სტრატეგიული მიმართულება N1: განათლების ხარისხის გაუმჯობესებება და განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1: სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შედგენა, შედეგების ანალიზი და განახლების პროცესის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 2: სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება.

სტრატეგიული მიზანი 4: სასკოლო საზოგადოების წევრების და მოსწავლის მშობლების სასწავლო პროცესში ჩართულობის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიმართულება N2: საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 1: სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით.

სტრატეგიული მიმართულება N3: სკოლის მმართვის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 1: სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება

სტრატეგიული მიზანი 2: სასწავლო პროცესის მართვა

სტრატეგიული მიზანი 3: მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი 4: ყოვლწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება და განვითარება.

სტრატეგიული მიზანი 5: ადამიანური რესურსების მართვა

სტრატეგიული მიზანი 6: ანგარიშვალდებულების წარმოება წინასწარ დადგენილ ვადებში.

სტრატეგიული მიზანი 7: მატერიალური რესურსების მართვა.

სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის ციკლი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმის პროექტს, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს. მასში ასახულია სტარტეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე ახალი გამოწვევები. ინფორმაციის შეჯერების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებითა და თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით: სკოლის ძირითადი ამოცანაა მისცეს მოსწავლეებს ხარისხიანი, 21-ე საუკუნის შესაბამისი განათლება და ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე. სკოლა ამზადებს მოზარდს მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელს უწყობს საჭირო უნარ-ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას კვალიფიციური კადრების მეშვეობით.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებაზე.
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

I. სკოლის ფილოსოფია*

სკოლის მისია

ჩვენ ვმუშაობთ, რომ სკოლაში შევქმნათ ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური გარემო;
ჩვენ მზად ვართ, რომ ჩვენს მოსწავლეებს ვასწავლოთ შეუზღუდავ და მრავალფეროვან სივრცეში;
რომ ჩვენი თანამშრომლობით, შესაძლებელი იყოს მოაზროვნე, მაძიებელი და აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბება;
ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი მოსწავლეები გახდებიან წარმატებულები, იქნებიან პასუხისმგებლიანები და შეძლებენ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას, გადაწყვეტილებების მიღებას და ტრადიციების გაზიარებას;
რათა ვასწავლოთ დამოუკიდებლობა, თავისუფლება, საკუთარი მიღწევების გამოყენებით ახალი ღირებულებების შექმნა;
და ჩვენ გვსურს, რომ სასკოლო ცხოვრება ჩვენი ბავშვებისათვის იყოს ბედნიერების მომტანი!

სკოლის ხედვა

სკოლა უნდა გახდეს წამყვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებება და 2023-2030 წლებში შესთავაზოს მოსწავლეებს:
უცხოური ენების მიმართულებით გაძლიერებული სწავლების პროგრამები - ენისა და საგნებრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება (CLIL), გარდა ამისა, უზრუნველყოს სკოლის ციფრული ტრანსფორმაცია და კიბერ ეკოსისტემის ჩამოყალიბება, ეს ყოველივე კი ხელს შეუწობს მოსწავლის თავისუფალ, შემოქმედებით და წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

სკოლის ღირებულებები

სკოლა ითვალისწინებს სწავლა - სწავლების პროცესში ჩართული პირების ინტერესებსა და შეხედულებებს, შესაბამისად თავის საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: გუნდური მუშაობა, რომელიც თავის თავში გულისხმობს კათედრებს შორის თანამშრომლობას და თემის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, ინოვაცია - სწავლა სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების დანერგვასა და ტექნოლოგიების გაძლიერებულ გამოყენებას, ასევე სკოლა ღიაა დაინტერესებული მხარეებისათვის, დაწესებულება ორიენტირებულია იმაზე, რომ თემის თითოეულ წევრს ჰქონდეს თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები.

*) სკოლის ფილოსოფია განახლებული იქნა 2023 წლის მაისში

II. სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა - 2023-2030 წლები

SWOT- ანალიზი

წარმოდგენილი SWOT ანალიზი მოიცავს 2023 წელს დაფიქსირებული სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებს.

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
• მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის: 4-სართულიანი შენობა გარემონტებული ფასადით და ახალი გათბობის სისტემით, მოწესრიგებული სველი წერტილებით; კომფორტული სასწავლო გარემო და ინვენტარი და სხვ. • მრავალწლიანი გამოცდილება განათლების განხორციელებისა და განვითარების მიმართულებით; • გამოცდილების მქონე მოტივირებული და კომპეტენტური მასწავლებლები; • კარგად ორგანიზებული სასწავლო პროცესი; • სკოლის ორგანიზაციული კულტურა და ტრადიციები; • სკოლის დისციპლინა; • ცნობადობა კვალიფიციური კადრების მომზადების კუთხით; • მზარდი პრესტიჟულობა და იმიჯის გაუმჯობესება; • უცხოელ და გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; • კურსდამთავრებულების უნივერსიტეტებში ჩაბარების მაღალი მაჩვენებელი; • პირველკლასელების მიღების პროცესის მდგრადობა;	• სკოლის შენობა-ნაგებობა მხოლოდ ნაწილობრივად რეაბილიტირებულია - სასწრაფოდ სარეაბილიტაციოა სპორტული და ესთეტიკური განათლებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა; სკოლაში შემოვალი ელექტროენერგიის ხაზი, წყალმომარაგების და კანალიზაციის ცენტრალური მილები დაძველებულია; აღსადგენია სკოლის ფასადიდან შესასვლელი და სხვ; • კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობა და კომპიუტერული ტექნიკის მორალური დაძველება; • სკოლის შენობაში, მეორე ცვლაში განთავსებულია 83 საჯარო სკოლა, რაც აფერხებს შენობის გამოყენებას სასწავლო მიზნებისთვის და ზრდის შენობის ამორტიზირების პროცესს მაღალი და ხანგრძლივი დატვირთვის გამო; შესაბამისად გაზრდილია შენობის მოვლა-პატრონობის ხარჯები; • მოსწავლეების შეფასებასთან დაკავშირებული პრობლეემები; განმავითარებელი შეფასების დანერგვის პროცესის ხარისხი; • აღმზრდელობის დარგში სადამრიგებლო აქტივობების სისუსტე; • მოსწავლეების დაბალი მოტივაციის დონე; • საბაზო საფეხურის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეების უარის თქმა პროფესიულ კოლეჯებში სწავლის გაგრძელებაზე; • საშუალო საფეხურზე განათლების არასაკმარისი ხარისხი; • კათედრების თანამშრომლობისა და საგანთა შორის ინტეგრირების არასაკმარისი დონე; • ორ ცვლიანი სასწავლო პროცესი; • მასწავლებლების სრულზე მეტი დატვირთვა, ორ ცვლაში მუშაობის სირთულეები; • არაფორმალური განათლების განვითარების დონე: სხვადასხვა კლასგარეშე პროგრამებში, პროექტებში არასაკმარისი მონაწილეობა; კლუბების და უფასო წრეების-სექციების დაბალი აქტივობა; • ეკონომიუკური საქმიანობის არ არსება; • გარკვეული კატეგორიის მშობლების მხრიდან სასწავლო პროცესის მიმართ დაბალი დაინტერესება, ჩართულობა და გარკვეული უნდობლობა სკოლის მიმართ;

შესაძლებლობები	**საფრთხეები**
• ახალი საგნობრივი და აღმზრდელობითი პროგრამების შეთავაზების/დანერგვის შესაძლებლობა; • მხარდაჭერა ახალი პროფესიული საგანამნათლებლო პროგრამების დანერგვაში; • მოსწავლეთა პროფორიენტაციის გაუმჯობესება; • არაფორმალური განათლების ფარგვლებში სხვადასხვა პროექტებში და პროგრამებში, მათ შორის საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა; • საგანთაშორის ინტეგრირებული სწავლების გაძლიერება; • პროფესიული განათლების პოპულარიზაცია; • უცხოური ენების სწავლების გაძლიერება; • საშუალო საფეხურზე გაძლიერებული პროგრამების დანერგავა და დიფერენციული სწავლება; • უნივერსიტეტებთან და პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობა; • ახალგაზრდა პედაგოგების დასაქმება; • სკოლის ციფრული ტრანსფორმაცია და უსაფრთხო კიბერ ეკო-სისტემის ჩამოყალიბება	• გარე ფაქტორები (ეკონომიკური ფაქტორები (პანდემია; ფინანსური კრიზისი, რეგიონული კონფლიქტები, არასტაბილურობა და ა.შ.) • მოსწავლის რაოდენობის გამო, ვაუჩერული დაფინანსების ზრდის შენელება; • ცვლილებებისადმი მოსახლეობის მხრიდან არასაკმარისი მხარდაჭერა, არასაკმარისი ცოდნა და მათთან ადაპტაციის დაბალი დონე; • კონკურენცია ზოგადი განათლების სფეროში; • თემის სოციალური პასუხისმგებლობის დაბალი დონე; • დღის მეორე ნახევარში, სკოლის შენობაში სხვა სკოლის განთავსების პერიოდის გაზრდა 3 წლიდანდან 5 წლამდე და მეტი;

სკოლის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, სკოლის ფილოსოფიისა და SWOT- ანალიზის საფუძველზე სკოლამ ჩამოაყალიბა განვითარების ძირითადი მიზნები და ამოცანები: განათლების ხარისხის გაუმჯობესობაზე, სწავლა-სწავლების ახალი მეთოდების დანერგვაზე მუდმივი ზრუნვითა და ცოდნის სისტემური კონსტრუირებით, ახალგაზრდებს გამოუმუშავოს თვითმყოფადობა, დამოუკიდებელი და კრიტიკული აზროვნება, თანამედროვე მიღწევების გააზრებულად გაცნობისა და გამოყენების უნარი, რაც ხელს შეუწყობს მათ მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად და წარმატებულ პირებად ჩამოყალიბებას.

სკოლამ დაადგინა განვითარების სტრატეგიული მიმართულებები:

განათლების ხარისხის გაუმჯობესებების ხელშეწყობა და განვითარება;

საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება და გაუმჯობესება;

სკოლის მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

სტრატეგიული მიმართულება N1: განათლების ხარისხის გაუმჯობესებება და განვითარება

სტრატეგიული მიზანი 1: სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შედგენა, შედეგების ანალიზი და განახლების პროცესის გაუმჯობესება

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- დაინერგება სასკოლო გეგმის/კურიკულუმების შესრულების ეფექტიანი ანალიზის მექანიზმები;
- გაუმჯობესდება სასკოლო სასწავლო გეგმის და კურიკულუმების განახლების პროცესი;
- უფრო გამჭვირვალე გახდება სასწავლო შეფასების სისტემის შეფასების კრიტერიუმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შემუშავების, განახლებისა და შეფასების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გააქტიურობა

სტრატეგიული მიზანი 2: სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- გაგრძელდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა;
- მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების სისტემის დანერგვის გაგრძელება, დახვეწა და განვითარება;
- უცხოური ენების მიმართულებით გაძლიერებული სწავლების პროგრამების - ენისა და საგნებრივი შინაარსის ინტეგრირებული სწავლება (CLIL) შემუშავება, დანერგვა და განვითარება;
- სკოლის სასწავლო პროცესის ციფრული ტრანსფორმაციის განხორციელება და კიბერ ეკოსისტემის ჩამოყალიბება;
- სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე, ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება და სხვა თანამედროვე სასწავლო რესურსების განვითარების გაუმჯობესება;
- გამჭოლი კომპეტენციებისა (წიგნიერება, მედიაწიგნიერება, რაოდენობრივი აზროვნება, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციები, ეკოლოგია და სხვა) და პრიორიტეტების (მეწარმეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, და სხვა) განვითარების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა;
- თითოეული მოსწავლის განვითარების საჭიროებების გათვალისწინება.
- მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაციითა და დახმარებით უქრუნველყოფა;
- მოსწავლეების მიერ მათი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე წარმატებების მიღწევის ხელშეწყობა;
- სკოლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისა და მოსწავლეთა მიღწევების წახალისების ხელშეწყობა, მათთვის თვითრეალიზების საშუალების მიცემა.

- სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობისა და ხარისხის, მოსწავლეთა საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმების შემუშავება.

სტრატეგიული მიზანი 3: მოსწავლეთა მხარდაჭერი პროცესების უზრუნველყოფა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- მოსწავლეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;
- სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმების განვითარება;
- სკოლაში მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურების ფუნქციონირების განვითარება;
- სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესებას;
- საქართველოს კანონმდებლობის შეესაბამესად, სსსმ მოსწავლეთა მომსახურების დახვეწა და განხორციელების განვითარება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით;
- სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების (არსებობის შემთხვევაში) განხორციელება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

სტრატეგიული მიზანი 4: სასკოლო საზოგადოების წევრების და მოსწავლის მშობლების სასწავლო პროცესში ჩართულობის გაუმჯობესება

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- დაიხვეწება მშობლებთან კომუნიკაციის პროცესი;
- მშობლების აქტიურობის გაზრდა სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის გზით;
- სწავლა-სწავლების პროცესის და ზოგადად სასწავლო ცხოვრების გამჭვირვალობის გაზრდა;
- მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემის ჩამოყალიბება;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების შემუშავება;
- მშობლის ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების დახვეწა;
- სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს განვითარება;
- სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობის დახვეწა;

სტრატეგიული მიმართულება N2: საგანმანათლებლო გარემოს გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 1: სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული შესაბამისი მატერიალური რესურსით

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- ჯანსაღი ცხოვრების ხელშემწყობი გარემოს მოწყობა და გაუმჯობესება (სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, გარე სპორტული მოედნის მოვლა-პატრონომა);
- სკოლის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესის უზრუნველყოფა;
- არსებული სასწავლო ლაბორატორიების აღჭურვის განახლება და გაუმჯობესება;
- დამატებითი კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორიის და ლინგვო კაბინეტის შექმნა და ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვა;
- საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემოს უზრუნველყოფა: დანერგილი ენერგოეფექტიანი სისტემის გაუმჯობესება; ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემის მოვლა-პატრონომა და განახლება; სველი წერტილების მოწესრიგებული მუშაობა; ბუნებრივი განათების შესაძლებლობა; სავენტილაციო და გათბობის სისტემების საშუალებების მოწესრიგება;
- სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკის, სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით (მ/შ ციფრული ფორმატის), პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით, განახლება და განვითარება და ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობა;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის ჩამოყალიბება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის გარემოს ადაპტირება, გაუმჯობესება/განახლება;
- სკოლის ფილოსოფიაში დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განახლება/განვითარება. მუდმივი ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერული პარკის განახლება;
- ოფიციალური სოციალური Faceebook გვერდის და სკოლის ვებგვერდის http://82.edu.ge/, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, განვითარება და პერიოდული განახლება. Teams პლათფორმის, რომელიც გამოიყენება დისტანციური სწავლების, მშობლებთან საკომუნიკაციოდ და დამატებითი მომსახურების პროცესში, განვითარება და განახლება;
- სკოლის მატეიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენების მექანიზმების გაუმჯობესება;
- მატერიალური რესურსის კონკრეტული პარამეტრების შესაბამისობის უზრუნველყოფა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითრების სააგენტოს რეკომენდაციებთან;
- ეფექტიანი, მზრუნველი და მოსწავლეებისათვის მასტიმულირებელი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა;
- სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის საზოგადოების მრავალფეროვანი რესურსის ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა;
- საკლასო ოთახების სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი საშუალებებით აღჭურვა.

სტრატეგიული მიმართულება N3: სკოლის მმართვის გაუმჯობესება

სტრატეგიული მიზანი 1: სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება;
- მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- ხარისხის განვითარებისა და პროფსიული მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის უზრუნველყოფა და დახვეწა;
- სკოლის პერსონალის მიერ სკოლის საჭიროებების შესაბამისი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი 2: სასწავლო პროცესის მართვა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად მოსწავლეების საჭიროებებზე ორიენტირებული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება;
- სასკოლო სასწავლო გეგმაში საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების და მათი შესაძლო გავლენის გათვალისწინება მოსწავლეთა მიღწევებზე;
- სკოლაში თითოეული მოსწავლის მაღალი აკადემიური მოსწრების მოლოდინის დასახვა და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესების სტრატეგიების გამოყენება;
- სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა მიღწევების მუდმივი შეფასების უზრუნველყოფა მათი გაუმჯობესების მიზნით;
- სწავლების თანამედროვე სტრატეგიების, მეთოდებისა და რესურსების გამოყენება;
- სკოლის დირექცია და მასწავლებლები გაიაზრებენ მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ ხედვას და პასუხისმგებლობას.
- სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმილი სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას და დაწესებულების რესურსების ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას, მორგებულია ცალკეული მოსწავლის, მოსწავლეების ჯგუფების და მთელი კლასის საჭიროებებზე;
- მოსწავლის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით;
- მოსწავლის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

სტრატეგიული მიზანი 3: მოსწავლეთა და პერსონალის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებითა და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით აღჭურვა; თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმის განახლება საჭიროების შემთხვევაში;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის მექანიზმების უზრუნველყოფა;
- სკოლის უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებული კამერების, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, მოვლა-პატრონობა და შეცვლა/განახლება საჭიროების შემთხვევაში,
- სკოლაშო უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა;
- სკოლის საზოგადოებაზე მორგებული კრიზისის მართვის პოლიტიკის შემუშავება.

სტრატეგიული მიზანი 4: ყოვლწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავება და განვითარება

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- სკოლის სტრატეგიული განვითარების, სამოქმედო და სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასების ინდიკატორების შემუშავება, მისი მონიტორინგის და განახლების მექანიზმების შემუშავება-დანერგვა;
- შიდა და გარე შეფასების გამოყენება სასკოლო გარემოს, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლის შედეგების მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სტრატეგიული მიზანი 5: ადამიანური რესურსების მართვა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- სკოლის თანამშრომლების შერჩევა „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად;
- თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და გათავისუფლება, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავება და წახალისება;
- მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება;
- ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება;
- დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს, თანამშრომლობითი კულტურის ზრდის ხელშეწყობა, რაც დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენაზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებაზე.
- სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა სკოლის ინტერესების სასარგებლოდ;

- სხვადასხვა საგანმანათებლო დაწესებულებებთან გამოცდილებისა და მიღწევების გაზიარების მიზნით თანამშრომლობა.
- ცნობადობისა და ბრენდ ლოიალურობის გაზრდის მიზნით შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება, რაც მოიაზრებს სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვას, მათ შორის შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებას და განვითარებას.

სტრატეგიული მიზანი 6: ანგარიშვალდებულების წარმოება წინასწარ დადგენილ ვადებში

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- კანონმდებლობით დადგენილი წესით მაკონტროლებელ ორგანოებთან ანგარიშვალდებულების განხორციელება;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულების განხორციელება სკოლის უმაღლეს არჩევით ორგანოსთან;
- ანგარიშვალდებულების სისტემის გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი 7: მატერიალური რესურსების მართვა

ამოცანები და ქვეამოცანები

დასახული მიზნის მისაღწევად განსაზღვრული იქნა შემდეგი ამოცანები და ქვეამოცანები:

- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიზნების/ამოცანების შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვა, განკარგვა და მონიტორინგი.
- დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება;
- ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემის დახვეწა;
- სკოლა ფინანსური მდგრადობის განვითარება.

სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის ციკლი

2023 წელს სტრატეგიული გეგმის განახლება და ახალი შვიდწლიანი სტრატეგიების შემუშავება;

2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება და
2024 წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია;

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება და
2025 წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია;

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება და
2026 წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია;

2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება და
2027 წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია;

2027-2028 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება და
2028 წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია;

2028-2029 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება და
2029 წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია;

2029-2030 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის შემუშავება და
2030 წელს სტრატეგიული გეგმის გადახედვა/ადაპტაცია/შეცვლა.